სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცი წლის ოცდაექვს მარტს, მე, ნოტარიუსს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველ სართულზე, მომმართეს **რამაზ სუჯაშვილმა და გურამ ოსეფაშვილმა,** რომლებმაც განაცხადეს, რომ სურთ **თამაზი მურვანიძეს** (დაბ. 13.07.1956წ. ლანჩხუთში, პირადი #01015021376, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა, N 17) მიანიჭონ შესაბამისი უფლებამოსილება სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით: **რამაზ სუჯაშვილი** - დაბადებული 11.01.1956წ. ყაზბეგში, პირადი #01024005016, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაშლიჯვრის დასახლება, კორპუსი 12, ბინა 36. **გურამ ოსეფაშვილი** - დაბადებული 09.06.1959წ. მცხეთაში, პირადი #01019002893, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ლიახვის ქუჩა, N 9. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ წაიკითხეს წინამდებარე მინდობილობა და განაცხადეს, რომ იგი სრულიად შეესაბამება მათ ნებას, რის შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცი წლის ოცდაექვს მარტს, ამ მინდობილობით **რამაზ სუჯაშვილმა და გურამ ოსეფაშვილმა,** რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც "მიმნდობი", **თამაზი მურვანიძეს,** რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც "მინდობილი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია იყოს მიმნდობის, როგორც ამხანაგობა „ჩიტაძის ქუჩა #9" (ს/ნ 204541479) თავმჯდომარის (შემოსავლების სამსახურის წერილი #21-11/36618, 26/03/2020წ) წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურში, ურბანულ დაგეგმარების სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, ქ. თბილისის საკრებულოში, მიწის ლეგალიზაციების კომისიაში. მოახდინოს პროექტის შეთანხმება, აზომვა, ახალი საკადასტრო გეგმის მომზადება, ხარვეზების შესწორება, ცვლილებების შეტანა, სარეგისტრაციო მონაცემებში შერწყმა/გაერთიანება. ამონაწერის მისაღებად დოკუმენტაციის საჯარო რეესტრში წარდგენა, ფართების რეგისტრირებისათვის, პროექტის შეთანხმებისათვის და მშენებლობის ნებართვის მისაღებად. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილებების ფარგლებში, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალებების შესრულებასთან.
2. მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.
3. მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით და ძალაშია ორიათას ოცი წლის ოცდაექვსი სექტემბრის ჩათვლით. მიმნდობი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ზემოაღნიშნული მინდობილობა.
4. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან; (ფოტოასლი).

გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა ოცი ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 3.60 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახდო კოდექსის 169-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური ორი ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია ოცდახუთი ლარი და სამოცი თეთრი.

მიმნდობი _____

მიმნდობი _____

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

42400885397220

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200288306

რეგისტრაციის თარიღი

26.03.2020 წ

ნოტარიუსი: ინგა ხარძიანი

მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული

ტელეფონი: 2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18